საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №2

დ. ჩხოროწყუ.

8 იანვარი 2015 წელი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის № 1 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თხოვების ფორმით, 2 წლის ვადით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციის პროცესში აღრიცხული მოძრავი ქონება დანართის თანახმად.

2. დაევალოს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურს (ე. მალანია) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებისა და მიღება- ჩაბარების აქტის მომზადება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

242258791

დავით ფანცულაია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი